



**სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის
2026 წლის 15 იანვრის N 04/21 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის
შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 15 იანვრის N 04/21 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება თანდართული სახით.
2. დადასტურდეს ცაბო ზედგინიძის (პ/ნ 01013005506) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით ცაბო ზედგინიძეს (პ/ნ 01013005506) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების მოთხოვნებს.
4. ცაბო ზედგინიძეს (პ/ნ 01013005506) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.



5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის
2026 წლის 15 იანვრის N 04/21 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის
თაობაზე

ქ. თბილისი

2026

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი	3
1.1. განმცხადებლის პოზიცია	3
1.2. მოვაჭრის პოზიცია	3
თავი 2. ნორმატიული რეგულირება	4
თავი 3. სამოტივაციო ნაწილი	9
3.1. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დარღვევა	9
3.2. ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი	10
3.3. ნაკლიანი ნივთის მიწოდება	13
თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი	21

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა მოქალაქე | 2025 წლის 03 ნოემბრის N01/6688 განცხადება (შემდგომში - განცხადება) მოვაჭრის - **ცაბო ზედგინიძის (3/6 01013005506)** (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სააგენტოს 2026 წლის 15 იანვრის N 04/21 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, 2025 წლის 22 ოქტომბერს, მომხმარებელმა მოვაჭრისაგან, **ცაბო ზედგინიძისაგან (3/6 01013005506)** შეიძინა თოი ჰუდელის ჯიის ლეკვი, რომლის თაობაზეც განემარტა რომ ლეკვი ჯანმრთელი იყო, თუმცა მალევე, შეძენიდან მეორე დღეს, ლეკვს განუვითარდა სხვადასხვა სიმპტომი: ლებინება, მუცლის შებერილობა, მადის დაკარგვა და სისუსტე, რის შედეგადაც დაიღუპა შეძენიდან მე-5 დღეს. ლეკვი ვეტერინარულ კლინიკაში მკურნალობდა 2 დღე, სადაც ჩატარდა გამოკვლევები და დადგინდა, რომ იგი ინფიცირებული იყო პარაზიტული ინფექციით Giardia Lambliia (ლამბლია), რომელიც მას, სავარაუდოდ, შეძენის მომენტში უკვე ჰქონდა.

მომხმარებელმა, სააგენტოში წარმოდგენილი 2026 წლის 12 მარტის N01/2302 წერილით, დამატებით, განმარტა, რომ ლეკვი არ იყო აცრილი, შეძენის დროს იყო 1.5 თვის (აცრების ასაკი იწყება 2 თვიდან). გამყიდველის მითითებით, ცხოველი ჭიაზე დამუშავებული იყო ორჯერ, თუმცა მომხმარებელს აღნიშნულის თაობაზე ეცნობა მხოლოდ ზეპირად და მისთვის მოვაჭრეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გადაუცია (გადასცა მხოლოდ დაბადების მოწმობა N2236). მომხმარებელმა მოვაჭრისაგან ლეკვი წამოიყვანა 2025 წლის 22 ოქტომბერს, საღამოს, 23 ოქტომბერს კი შეამჩნია, რომ იგი კარგად არ იყო, რაზეც მაშინვე აცნობა მოვაჭრეს.

განმცხადებელმა, ასევე, წარმოადგინა მოვაჭრესთან მიმოწერის ამსახველი ინფორმაცია (ე.წ „screenshots“), ლეკვის დაბადების მოწმობა, გადახდის დამადასტურებელი ქვითრები და კლინიკის მიერ გაცემული დოკუმენტი ლეკვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი დაღუპვის თაობაზე.

1.2. მოვაჭრის პოზიცია

2026 წლის 15 იანვრის N 04/21 ბრძანებით სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა. სააგენტოს 2026 წლის 15 იანვრის N 02/151 წერილით მოვაჭრეს ეცნობა საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე და

განესაზღვრა 5 (ხუთი) სამუშაო დღე, განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციისა და სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებელთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი წესების და პირობების ერთობლიობა) წარმოსადგენად.

სააგენტოში წარმოდგენილი 2026 წლის 10 მარტის N01/2205 წერილით, მოვაჭრე ცაბო ზედგინიძე არ დაეთანხმა განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და განმარტა, რომ მის მიერ მომხმარებლისათვის გადაცემული იქნა ჯანმრთელი ლეკვი, რომელიც დამუშავებული იყო პარაზიტებზე, შესაბამისად, მისთვის საეჭვოა, თუ რამ გამოიწვია ლეკვის სიკვდილი (თუ აღნიშნულს ნამდვილად ჰქონდა ადგილი). აქვე, აღნიშნა, რომ ლეკვის წაყვანის შემდგომ მისი სათანადოდ მოვლის ვალდებულება მომხმარებელზეა და შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში მოვაჭრის პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგება

მოვაჭრეს ლეკვის გარდაცვალებამდე არ დაკავშირებია, რაც, მოვაჭრის მითითებით, აღრმავებს ეჭვს, რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

სააგენტოს 2026 წლის 04 აპრილის N 02/2065 წერილის პასუხად, 2026 წლის 08 აპრილის N01/3213 წერილით, ცაბო ზედგინიძემ დამატებით განმარტა, რომ მან [] გააფრთხილა და მისცა რჩევები, როგორ უზრუნა პატარა ლეკვზე, რაც მოვაჭრის თითოეული მყიდველმა არ შეასრულა, აღნიშნული კი, შესაძლოა, გახდა ლეკვის გარდაცვალების მიზეზი.

ზემოაღნიშნულ წერილს მოვაჭრემ თან დაურთო ლეკვის/ლეკვების მდგომარეობის ამსახველი ვიდეომასალა, აცრების ამსახველი ინფორმაცია, ასევე, ცნობები ვეტერინარული კლინიკებიდან.

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო პოლიტიკის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოში, საქმის შესწავლის ფარგლებში, წარმოდგენილი არ ყოფილა.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კონკრეტულად, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონის მე-3 თავი განსაზღვრავს დისტანციური ხელშეკრულებას და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებების დროს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

კანონის მე-4 თავი განსაზღვრავს სამომხმარებლო ხელშეკრულებას, სადაც განმარტებულია მოვაჭრის ვალდებულებები და მომხმარებლის უფლებები, აგრეთვე კომერციული გარანტია და მტკიცების ტვირთი და ვადები ხელშეკრულებასთან შეუსაბამობისას.

კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს **საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად** მიაწოდოს **უტყუარი და სრული ინფორმაცია**. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდ;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ.

კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრემ ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიაწოდოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, მკაფიოდ და გასაგებად. თუ ეს ინფორმაცია ხანგამძლე მატარებელზეა მიწოდებული, მისი აღქმა შესაძლებელი უნდა იყოს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ დისტანციური ხელშეკრულება ელექტრონული საშუალების გამოყენებით იდება, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების შეკვეთისას ერთმნიშვნელოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ შეკვეთის განთავსება მომხმარებლისთვის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს. თუ მოვაჭრემ ამ პირობის შესრულება არ უზრუნველყო, მომხმარებელს გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა. მე-3 პუნქტის შესაბამისად, სავაჭრო ვებ-გვერდზე არაუგვიანეს საქონლის ან მომსახურების შეკვეთის პროცესის დაწყებისა, მკაფიოდ და გასაგები ფორმით უნდა იყოს განთავსებული ინფორმაცია მის მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია გადახდის საშუალების თაობაზე. მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რომელიც არ იძლევა საკმარის დროსა და ადგილს იმისთვის, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდოს, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს სულ მცირე თავისი ვინაობის (სახელწოდების) შესახებ ინფორმაცია და ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. დისტანციური ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე

თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.

კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

კანონის მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილია, რომ საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. ხოლო საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება. მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ამ კანონის მე-17–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის (შემდგომში - 2011/83 დირექტივა) მიზანია, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

2011/83 დირექტივის მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებლის უფლებების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დირექტივის მე-3 თავის მე-5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე-5 მუხლი ძირითადად შეიცავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე-6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური და ქუჩაში დადებული

ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს. მართალია მე-6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის (შემდგომში - 2019/771 დირექტივა) მიზანია შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებს ხელშეწყობა და ამავდროულად, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების თაობაზე საერთო წესების დადგენით. კერძოდ, საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, შეუსაბამობის შემთხვევაში მომხმარებლის დაცვის საშუალებების, ამ საშუალებების გამოყენების გზებისა და კომერციული გარანტიების თაობაზე.¹

2019/771 დირექტივის მე-13 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა ან საქონლის ფასის პროპორციული შემცირება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა 2019/771 საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ცალკეული ასპექტების, 2017/2394 რეგულაციის და 2009/22/EC დირექტივის გაუქმებისა და 1999/44/EC დირექტივის ჩანაცვლების შესახებ, მუხლი 1.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაცია), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

“საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დარღვევა

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრეს აკისრებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე.

სანამ საკითხის არსებით შეფასებაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ როგორც სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ისე საქმის შესწავლის ეტაპზე, მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს, რომ კონკრეტული მოვაჭრის მიერ კანონის მოთხოვნების დარღვევის შედეგად მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიაღგეს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. ამ შემთხვევაში სააგენტო ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი უნარი, გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ

შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.²

ფრანგული პრაქტიკა ევროკავშირის კანონმდებელმაც გაიზიარა. მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესის განმარტებას ვხვდებით ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/22/EC დირექტივაში „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ“.³ დირექტივის პრეამბულის მესამე აბზაცში შემოთავაზებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური განმარტება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი არ გულისხმობს იმ მომხმარებელთა ინტერესების ერთობლიობას, რომელთაც დარღვევის შედეგად ზიანი მიაღწია.

მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის ნეგატიური ევროპული განმარტება შეიცვალა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2020/1828⁴ დირექტივით, რომლის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის სრულფასოვან განმარტებას არ შეიცავს, არსებული დეფინიციები აშკარას ხდის იმ გარემოებას, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი ნაკლებად არის დაკავშირებული ინდივიდუალურ ზიანთან და მის შესაბამისად კომპენსაციის მოთხოვნასთან. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანობას ეხება და მის დასაცავად გამოყენებული ინსტრუმენტები პრევენციასა და შეკავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

განსახილველ საქმეში იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე მომხმარებლებს არ აწვდის კანონით განსაზღვრული სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას, ის ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრისგან, შესაბამისად იკვეთება მოვაჭრის მხრიდან მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესის დარღვევის ფაქტი.

3.2. ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის უმნიშვნელოვანესია დაცული იყოს „ინფორმირებული მომხმარებლის“ სტანდარტი.

კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრეს აკისრებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“ და დაიცვას მისი ეკონომიკური

² Cass Crim, 20 May, 1985, bull crim 485

³ Directive 2009/22/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on injunctions for the protection of consumers' interests, OJ L 110, 1.5.2009, p. 30–36, recital 3.

⁴ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32020L1828>

ქვევაც. ქართული კანონმდებლობის ანალოგიურად არის განმარტებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირის №2011/83 დირექტივაშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - ევროკავშირის სასამართლო) არაერთი გადაწყვეტილებითაა განმტკიცებული. მაგ. №C-649/17 საქმეზე ევროკავშირის სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროკავშირის №2011/83 დირექტივის მიზანია სამომხმარებლო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა - მათ შორის, დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების დროს.⁵

სამომხმარებლო სამართალი, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასაკანონმდებლო რეგულირებით, განსაზღვრავს მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ურთიერთობის წესების და პირობების ძირითად სტანდარტებს. სწორედ ამ საკანონმდებლო დანაწესითა თუ რეკომენდაციათა გათვალისწინებით, მოვაჭრე კომერციული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმით. დირექტივა მოვაჭრეებს ავალდებულებს უზრუნველყონ კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებები,⁶ რაც მომხმარებლებს გაუადვილებს მოვაჭრესთან დაკავშირებას.

მომხმარებლის სრულყოფილი ინფორმირებულობის სტანდარტის დანერგვა მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. საერთაშორისო ორგანიზაციები თუ სასამართლოები აქტიურად უსვამენ ხაზს „ინფორმირებული მომხმარებლის“ სტანდარტის არსებობის აუცილებლობას. №C-430/17 საქმეზე ევროკავშირის სასამართლო განმარტავს დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობას სამომხმარებლო ურთიერთობის ეფექტური განხორციელებისთვის. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, მომხმარებლისთვის ნივთის ან მისაღები მომსახურების შესახებ მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია განსაზღვრავს მომხმარებლის ნებას, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებით.⁷

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად. კანონის მე-5 მუხლის მიხედვით ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს კანონით გათვალისწინებული უტყუარი და სრული ინფორმაცია. კანონის მე-10 მუხლი დისტანციურ და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ავალდებულებს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, დამატებით, მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია. მომხმარებლის განცხადების და წარმოდგენილი დოკუმენტების შეჯერების საფუძველზე, სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის კომერციული საქმიანობა არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების სტანდარტს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: მოვაჭრის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ის გვერდზე - **ცაბო ზედგინიძე პუდელები** (ბმული: <https://www.facebook.com/groups/624836405378022/user/100035461143408/>) „მომხმარებლის

⁵ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #C-649/17

⁶ იქვე, აბზაცი 53

⁷ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #C-430/17

უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაცია განთავსებული არ არის კერძოდ:

- მომხმარებელს არ მიეწოდება ინფორმაცია მოვაჭრის სამართლებრივი ფორმისა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), საიდენტიფიკაციო ნომრის, მისამართის (იურიდიული მისამართის), ტელეფონის ნომრისა და მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია ან/და მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან) შესახებ.
- მოვაჭრე მომხმარებელს არ აწვდის ინფორმაციას კანონისმიერი გარანტიის თაობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტთან. შესაბამისად, მოვაჭრე ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირებას კანონისმიერი გარანტიის პირობებისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ.
- გარდა ამისა, მოვაჭრე მომხმარებელს არ აწვდის ინფორმაციას დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადის და წესის შესახებ. შესაბამისად, მომხმარებელს ერთმევა შესაძლებლობა ისარგებლოს დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარის თქმის უფლებით.

დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ევროპული და ქართული მომხმარებლის დაცვის სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის უარყოფის უფლების არსი ვლინდება მომხმარებლის შესაძლებლობაში ხელშეკრულების დადებისა და საქონლის მიღების შემდგომ, სავაჭრო სივრცის პირობების მსგავსად, დარწმუნდეს შეძენილი საქონლის სარგებლიანობაში. მომხმარებელი უზრუნველყოფილია დამატებითი შესაძლებლობით საქონლის მიღების შემდგომ გადაწყვიტოს საქონლის სამუდამოდ შექენის საკითხი - დაიტოვოს ან უკან დააბრუნოს იგი.⁸ მომხმარებელი კიდევ უფრო სუსტ პოზიციაში იმყოფება, როდესაც ის დისტანციურ ტრანზაქციას ახორციელებს. როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება სწორედ დისტანციური ვაჭრობისას მომხმარებლის დაცვის მიზნით შეიქმნა და მისი ამოცანა დისტანციური ხელშეკრულების დადებისას მოვაჭრისა და მომხმარებლის პოზიციების დაბალანსებაა, მომხმარებლისთვის სათანადო დროის მიცემის გზით შექენილი საქონლის შემოწმებისა და დატესტვისთვის.⁹ დაუშვებელია მოვაჭრის მხრიდან დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/83 დირექტივის პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვინაიდან, დისტანციურად ვაჭრობისას მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე

⁸ თ.ლაკერბაია, ვ.ზაალიშვილი, თ.ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალტრან ჰარმონიზაციის გზა), შსსუ, თბილისი 2018, გვ.247

⁹ CJEU, *slewo — schlafen leben wohnen GmbH v Sascha Ledowski*, Case C-681/17, 27 March 2019, , para. 33.

საქონლის ნახვის შესაძლებლობა არ აქვს, მას უფლება უნდა ჰქონდეს, რომ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამასთან, მას უნდა შეეძლოს, შეამოწმოს და დატესტოს შექმნილი საქონელი იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონალების დასადგენად.¹⁰

ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სამომხმარებლო ურთიერთობებში შესაძლოა დადგეს შემთხვევები, როდესაც მომხმარებლისთვის აღნიშნული უფლების მინიჭება მოვაჭრეს გაუმართლებლად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებდა. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა ევროდირექტივის შესაბამისად, კანონის მე-14 მუხლით ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისები გაითვალისწინა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ გამონაკლისები, რომლებიც კანონმდებლის მიერ შეთავაზებული დაცვის შეზღუდვას ემსახურება, განსაკუთრებული სიზუსტით უნდა განიმარტოს.¹¹ მაშასადამე, მოვაჭრემ მის სტანდარტულ პირობებში დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და მომხმარებლის უფლება, 14 დღის ვადაში უპირობოდ დააბრუნოს დისტანციურად შექმნილი საქონელი, იმაზე მეტად არ შეზღუდოს, ვიდრე ეს კანონით არის გათვალისწინებული.

3.3. ნაკლიანი ნივთის მიწოდება

სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. **თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.**

ამასთან, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, **საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ აღწერას და მას აქვს იგივე თვისებები, რომლებიც მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილ საქონლის ნიმუშს ჰქონდა.** კანონის მე-4 მუხლის „მ“

¹⁰ იხ. სქოლიო 1, პრეამბულა, აბზაცი 37

¹¹ CJEU, Monika Kušionová v SMART Capital a.s., Case C-34/13, 10 September 2014. Para. 77; slewo — schlafen leben wohnen GmbH v Sascha Ledowski, para. 34

ქვეპუნქტის მიხედვით, საქონელი არის ნებისმიერი მოძრავი ნივთი, აგრეთვე მასში განთავსებული ან/და ციფრული ფორმით გავრცელებული ქონებრივი სიკეთე.

სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრისას, აღსანიშნავია, რომ ცხოველები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რეგულირების გარეშეა დარჩენილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზეა საუბარი დელიქტურ სამართალში ახსენებს სამოქალაქო კოდექსი მათ. ამ მუხლის თანახმად, ცხოველი წარმოადგენს მფლობელობის ობიექტს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ფიქსაციის გზით ცხოველები შეგვიძლია გავუთანაბროთ ნივთებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ნასყიდობის ან სხვაგვარი გასხვისებითი გარიგების საგანს შეადგენენ, თუმცა ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს.¹²

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებაც. მაგალითისათვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90 (a) მუხლის თანახმად, **ცხოველები არ არიან ნივთები. მათ იცავენ სპეციალური კანონები. თუმცა, მათზე გამოიყენება ნივთების მიმართ არსებული წესები, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.**¹³ ამასთან, გერმანული კანონმდებლობის თანახმად, ნივთის ნაკლად მიიჩნევა მდგომარეობა, როდესაც ნივთს არ გააჩნია ის მახასიათებლები რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ; იგი არ არის გამოსაღები იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მყიდველს სურდა მისი გამოყენება ხელშეკრულების თანახმად; ის არ არის გამოსაღები ჩვეულებრივი მოხმარებისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის N2/39040-22 გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, სასამართლო თავდაპირველად ყურადღებას გაამახვილებს სადავო გარიგებასთან დაკავშირებულ გარკვეულ სპეციფიკაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. 147-ე მუხლის შესაბამისად, ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების საგანია სულიერი არსება, ძალდი, რომლის ფლობის და განკარგვის წესები გარკვეულწილად შეზღუდულია (სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით აკრძალულია ცხოველის წამება, არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, ან მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია). პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ძალდი, ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის მოვლა-პატრონობა და მათთვის უსაფრთხო,

¹² სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, ლ. ქანტურია, გვ.143;

¹³ იხ. <https://www.gesetze-im-internet.de/bgb/index.html#BJNR001950896BJNE236602377>

საიმედო გარემოს შექმნა, რის გათვალისწინებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რათა დაცული იყოს ცხოველთა უფლებები.

შესაბამისად, მოცემული სამართალურთიერთობის მთავარი ობიექტი - ძაღლი, მართალია შეიძლება გათანაბრებული იყოს ნივთებთან იურიდიული ფიქციის თავლსაზრისით (მაგალითად მასზე ნასყიდობისა, ჩუქების თუ სხვა გარიგების დადებისას), თუმცა სამოქალაქო კოდექსი ცხოველებს ნივთებად არ მიიჩნევს. ასეთი ქონების მფლობელის უფლებები მასზე არაა შეუზღუდავი ხასიათის. ასეთი ქონების მფლობელი არაა უფლებამოსილი მაგალითად გაანადგუროს ის, ან მოექცეს თავისი შეხედულებისამებრ ისე, რაც ძაღლის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევს. აღნიშნული პირობა მიმდინარე სამართალწარმოების მეტად სპეციფიკურ ხასიათს განაპირობებს.¹⁴

აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესს სასამართლოს პრაქტიკით, ცხოველი განხილულია როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. მოცემულ საქმეში სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ჩუქების გაუქმების შესახებ, გადამწყვეტი აღმოჩნდა ფაქტი, რომ მესაკუთრე ცხოველს სათანადოდ უვლიდა.¹⁵

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ცხოველის (ლეკვი) შეძენის თაობაზე მხარეთა შორის დადებული შეთანხმება წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას. შესაბამისად, აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოვაჭრისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობანი.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. კერძოდ, საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება მოვაჭრის მიერ მიწოდებულ აღწერას და გააჩნია ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის წარდგენილი ნიმუშისათვის. კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/39040-22

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-728-696-2014 <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/55005/1>

აქვე, აღსანიშნავია, რომ მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ურთიერთობისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილსინდისიერების ფაქტს. საქართველოს უზენაესი სასამართლო Nას-1252-2020 სამოქალაქო საქმეზე, გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, გულისხმობს კეთილსინდისიერებას ობიექტური გაგებით. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შექენის, განხორციელების, დაცვის, ასევე ვალდებულებათა შესრულებისას, - სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. ყოველი პირი უფლების განხორციელებისა თუ ვალდებულების შესრულების დროს უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, **სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთ უფლებები და მოვალეობები.**

იმის დასადგენად, გადაეცა თუ არა მომხმარებელს შეთანხმებული პირობის საქონელი და მოქმედებდნენ თუ არა მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში, უნდა შეფასდეს საქმის თითოეული ფაქტობრივი გარემოება.

განცხადების თანახმად, მოვაჭრემ მომხმარებელს ლეკვი გადასცა 2025 წლის 22 ოქტომბერს, აღნიშნულს ადასტურებს მოვაჭრეც. ამასთან, მითითებით, შექენიდან მეორე დღესვე, 2025 წლის 23 ოქტომბერს, ცხოველს აღნიშნებოდა მძიმე სიმპტომები: ღებინება, მუცლის შებერილობა, მადის დაკარგვა და სისუსტე. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მოვაჭრისათვის მიწოდების ფაქტი დასტურდება, მიერ წარმოდგენილი, მასა და მოვაჭრეს შორის სოციალური ქსელ „messenger“-ის საშუალებით გამართული კომუნიკაციით (წარმოდგენილი ე.წ. „screenshot“-ების სახით). აღნიშნული მიმოწერით, ასევე, დასტურდება ლეკვის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე მომხმარებლის მიერ მოვაჭრისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მოვაჭრის მხრიდან უკუკავშირის ფაქტი 2025 წლის 23 ოქტომბრიდან - 27 ოქტომბრამდე დროის შუალედშიც. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლის მიერ, სააგენტოში შემოაღნიშნულ მიმოწერასთან ერთად, წარმოდგენილია ვეტერინარული კლინიკა „ბუნების“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, პაციენტი კლინიკაში შევიდა 2025 წლის 26 ოქტომბერს, მძიმე ინტოქსიკაციის ნიშნებით, სწრაფი ტესტის საშუალებით დაუდასტურდა - გარდია. პაციენტი დაიღუპა 2025 წლის 27 ოქტომბერს.

საგულისხმოა, რომ მოვაჭრე, ცაბო ზედგინის მიერ სააგენტოში 2026 წლის 10 მარტის N01/2205 და 2026 წლის 08 აპრილის N01/3213 წერილებით წარმოდგენილი პოზიციების თანახმად, ლეკვის გარდაცვალება, შესაძლოა, განპირობებული იყოს ცხოველის არასათანადო მოვლით და აღნიშნავს, რომ მის მიერ გაყიდული სხვა ლეკვების (ლეკვის და-ძმები) მსგავსად, გაყიდვის დროისათვის, მიერ შექენილი ლეკვიც დამუშავებული იყო პარაზიტებზე და შესაბამისად, იყო ჯანსაღი. მოვაჭრეს შემოაღნიშნული წერილებით, ასევე, წარმოდგენილი აქვს ლეკვების (ლეკვის და-ძმები) დაბადებისა (N2238, N2237, N2239) და აცრების დამადასტურებელი მოწმობები. აღნიშნული, აცრების დამადასტურებელი მოწმობებით,

ლექვების აცრების თარიღებად მითითებულია 2025 წლის 11 ნოემბერი, 25 ნოემბერი და 09 დეკემბერი. საგულისხმოა, რომ, საქმის შესწავლის ფარგლებში, სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა მომხმარებლის მიერ შექმნილი ლექვის (დაბადების მოწმობა N2236) აცრის ან/და მისი პარაზიტებზე დამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცაბო ზედგინიძის 2026 წლის 08 აპრილის N01/3213 წერილით, ასევე, წარმოდგენილია ვეტერინარული კლინიკა ბუნების 2025 წლის 01 ნოემბერს გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, **2025 წლის 1 ნოემბერს** ლექვებს გაუკეთდათ ტესტი: CPV, CCV, Giardia. დაფიქსირებული შედეგებით, CPV - ძაღლის პარვო ვირუსული ენტერიტი: უარყოფითი, CCV - ძაღლის კორონა ვირუსული ენტერიტი: უარყოფითი, Giardia - გიარდიოზი: უარყოფითი. ამავე წერილით, მოვაჭრის მიერ, ასევე წარმოდგენილია შპს „ვეტერინარული სამედიცინო ცენტრის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, **2025 წლის 31 ოქტომბერს** კლინიკაში შეყვანილი იყო 2025 წლის 08 სექტემბერს დაბადებული პუდელის ლექვები. ერთს გაუკეთდა სწრაფი ტესტი GIA/CCV/CPV პასუხი იყო უარყოფითი. საგულისხმოა, რომ მოვაჭრის განმარტებით, ზემოაღნიშნული მტკიცებულებები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ ლექვის სიკვდილი არ გამოუწვევია გიარდიოზს, როგორც ამას მომხმარებელი მიუთითებს.

სანამ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების არსებით შეფასებაზე გადავიდოდეთ, ცხოველის მიმართ მოქმედ სამართლებრივ რეჟიმთან და მის მიმართ გამოვლენილ ნაკლთან მიმართებით, საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა.

აღნიშნული მიმართულებით გერმანიაში არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა. ლიუნებურგის (გერმანია) სამხარეო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით (LG Lüneburg, 4 O 322/03), დადგინდა, რომ ცხოველის ფარული ნაკლის არსებობისას (რომელიც მას გამოუსადეგარს ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის), მყიდველს წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გასვლისა (Rücktritt) და გადახდილი ნასყიდობის ფასის სრულად დაბრუნების მოთხოვნის უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია რამდენადაც სასამართლომ გამყიდველს, ნასყიდობის თანხის დაბრუნებასთან ერთად, დააკისრა მყიდველის მიერ ცხოველის შენახვის, კვებისა და ვეტერინარული მომსახურებისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებაც, რაც უზრუნველყოფს მყიდველის პირვანდელ მდგომარეობაში სრულ აღდგენას.¹⁶

გერმანიის უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველმა შეიძინა ცხენი, რომელსაც აღმოაჩნდა თვალის დაავადება. მან თავისი ინიციატივით უმკურნალა ცხენს, გაუკეთა ოპერაცია და შემდეგ გამყიდველს მოსთხოვა ამ ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს განმარტებით, გერმანული სამართლის მიხედვით, თუ ნივთს (ან ცხოველს) აქვს ნაკლი, მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს და მისცეს გონივრული ვადა ნაკლის გამოსასწორებლად. აღსანიშნავია, რომ მოცემული შემთხვევის განხილვისას სასამართლომ

¹⁶ LG Lüneburg, ruling from 16. 03. 2004 –40 322/03

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90 (ა) მუხლის შესაბამისად, ცხოველზე (ცხენზე) გამოიყენა იგივე რეგულირება, რაც კოდექსის მიხედვით, დადგენილი იყო ნივთების მიმართ.¹⁷

ამასთან, საქმეზე C-52/18 ევროკავშირის სასამართლო განმარტავს, რომ 1999/44¹⁸ დირექტივის მე-3 მუხლი მიზნად ისახავს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას მომხმარებლისა და მოვაჭრის ინტერესებს შორის. საქონლის შესაბამისობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია საქონლის ბუნების, მახასიათებლების მხედველობაში მიღება, ასევე იმ მიზნის განსაზღვრა, რა მიზნითაც მომხმარებელი იძენს კონკრეტულ საქონელს. ამავე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულია უფლების ადდგენის საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო აღმოჩნდება. ევროკავშირის სასამართლო განმარტავს, რომ მომხმარებელს პირველ რიგში შეუძლია საქონლის ბუნებისა და გამოყენების მიზნის შეუსაბამობის აღმოფხვრა მოითხოვოს ნივთის შეკეთებით ან შეცვლით, ხოლო თუ ნივთის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია, ან არათანაზომიერ/შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუკი მოვაჭრე სათანადო სტანდარტით ვერ შეძლებს დაადასტუროს, რომ ნაკლის მიზეზი ან წარმომავლობა დაკავშირებულია ისეთ გარემოებებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემის შემდეგ, ნაკლის საქონლის გადაცემისას არსებობის პრეზუმფცია მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს კანონისმიერი გარანტიით გათვალისწინებული უფლებებით.

კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონის მე-17–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში გამოვლინდა. კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის პრაქტიკა, კერძოდ ევროკავშირის სასამართლომ კანონისმიერი გარანტიის ფარგლებში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე იმსჯელა გადაწყვეტილებაში საქმეზე Froukje Faber v Autobedrijf Hazet Ochten BV (C-497/13). სადაც აღნიშნა, რომ ნაკლიანი საქონლის გადაცემიდან 6 თვის ვადაში აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებელი თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან, რადგან ივარაუდება, რომ ნაკლი საქონლის მიწოდებისას არსებობდა. თუმცა, იმისთვის, რომ მომხმარებელმა აღნიშნული უპირატესობით ისარგებლოს, მას უვალდება ცალკეული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინოს. **კერძოდ, მომხმარებელმა პირველ რიგში,**

¹⁷ BGH, ruling from 7. 12. 2005 – VIII ZR 126/05;

¹⁸ შენიშვნა: აღნიშნული დირექტივა ჩანაცვლდა 2019/771 ევროკავშირისა და საბჭოს დირექტივით.

ნაკლის არსებობა უნდა დაადასტუროს, თუმცა ის არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულებები ნაკლის გამომწვევი მიზეზების ან იმის თაობაზე, რომ ნაკლზე პასუხისმგებელია მოვაჭრე. მას შემდეგ რაც მომხმარებელი დაამტკიცებს ნაკლის არსებობას და იმას, რომ ნაკლი საქონლის მიწოდებიდან 6 თვის განმავლობაში გამოვლინდა, ის თავისუფლდება ვალდებულებისგან ამტკიცოს, რომ ნაკლი ნივთის მიწოდებისას უკვე არსებობდა. ნაკლის დროის ისეთ მცირე მონაკვეთში გამოვლენა, როგორც 6 თვეა, იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ნივთის მომხმარებლისთვის გადაცემისას ის უკვე არსებობდა „ჩანასახის ფორმით“. ასეთ შემთხვევაში კი, მოვაჭრეა ვალდებული ამტკიცოს, რომ საქონლის ნაკლი არ არსებობდა საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას. ამისთვის მან უნდა დაადასტუროს, რომ ნაკლის გამომწვევი მიზეზი ან მისი წარმომავლობა დაკავშირებულია მომხმარებლის კონკრეტულ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან მისთვის საქონლის გადაცემის შემდეგ. თუკი მოვაჭრე სათანადო სტანდარტით ვერ შეძლებს დაადასტუროს, რომ ნაკლის მიზეზი ან წარმომავლობა დაკავშირებულია ისეთ გარემოებებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემის შემდეგ, ნაკლის საქონლის გადაცემისას არსებობის პრეზუმფცია მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს კანონისმიერი გარანტიით გათვალისწინებული უფლებებით, რაც გულისხმობს საქონლის შეკეთებას ან შეცვლას, როგორც მომხმარებლის პირველი რიგის უფლებას, ან ნივთის ფასის შემცირებას და ხელშეკრულებიდან გასვლას.

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოში საქმის შესწავლის პერიოდში, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ მომხმარებლისთვის გადაცემული ლეკვი შესაბამისი იყო მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულების პირობებთან (მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველს გადაეცემოდა ჯანმრთელი ლეკვი). საქმის შესწავლის ფარგლებში წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, მოვაჭრე, ძირითადად, მიუთითებს სხვა ლეკვების (ლეკვის და-ძმები) ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე გაცემული ცნობებსა და მათი აცრების დამადასტურებელი ჩანაწერებზე. აუცილებელია ხაზი გაესვას ფაქტს, რომ ვეტერინარული კლინიკა „ბუნების“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 2025 წლის 1 ნოემბერს ლეკვებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, გაუკეთდათ სხვადასხვა ტესტი, ხოლო შპს „ვეტერინარული სამედიცინო ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 2025 წლის 31 ოქტომბერს კლინიკაში შეყვანილი იყო 2025 წლის 08 სექტემბერს დაბადებული პუდელის ლეკვები, რომელთაგანაც, დოკუმენტის მიხედვით, ერთს გაუკეთდა სწრაფი ტესტი, GIA/CCV/CPV-ზე პასუხი იყო უარყოფითი. მეორე მხრივ, მხარეთა შორის შემდგარი კომუნიკაციითა და ვეტერინარულ კლინიკა „ბუნების“ გაცემული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მიერ შექმნილი ლეკვი კლინიკაში მოთავსებულ იქნა 2025 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო ცხოველი მომღვეწო დღეს - 27 ოქტომბერს დაიღუპა.

სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი კლინიკური დოკუმენტაცია ვერ გამოდგება სადავო ლეკვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელ რელევანტულ მტკიცებულებად, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტაცია გაცემულია სხვა ცხოველებზე (ლეკვის და-ძმები), ამასთან, ლეკვის დაღუპვის შემდგომ პერიოდში - 2025 წლის 27 ოქტომბრის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტებით, მოვაჭრის მიერ ვერ იქნა

უარყოფილი ნივთის ნაკლის არსებობა მისი გადაცემის მომენტში. მით უმეტეს, რომ მხარეთა მიმოწერა უტყუარად ადასტურებს ცხოველის ავადობის სიმპტომების გამოვლენას შექნიდან (მოვაჭრისაგან ლეკვის წამოყვანიდან) მეორე ღელსვე - 2025 წლის 23 ოქტომბერს. აღნიშნული მოკლე დროითი ინტერვალი კი ქმნის ნივთის ნაკლის არსებობის მაღალ ალბათობას ნასყიდობის მომენტში, რომლის არარსებობის მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრებოდა და რაც მის მიერ ვერ გაბათილდა.

ამასთან, მოვაჭრის არგუმენტი, რომ ინფიცირების შემთხვევაში დაავადება სხვა ლეკვებზეც ანალოგიური სიმძიმით გავრცელდებოდა (რაც მოვაჭრის მოსაზრებით გამოირიცხა სხვა ლეკვების 2025 წლის 31 ოქტომბრისა და 01 ნოემბრის კლინიკური შეფასებებით), მოკლებულია დასაბუთებას, რამდენადაც მოვაჭრემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ერთი ცხოველის ინფიცირება გარდაუვალს ხდის სხვა ცხოველების იდენტურ დასნებოვნებასა და დაავადების იდენტურ განვითარებას. შესაბამისად, სხვა ლეკვებზე მოგვიანებით ჩატარებული ტესტირებები ვერ გამოდგება ჯეროვან მტკიცებულებად ნასყიდობის მომენტში კონკრეტული ლეკვის ინფიცირების ფაქტის გამოსარიცხად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააგენტო განმარტავს, რომ მე-16 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიღწევადია მაშინ, თუ მოვაჭრე მიუთითებს და დაამტკიცებს, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად. მოცემულ შემთხვევაში კი, საქმის შესწავლის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგინდა, რომ მოვაჭრის - ცაბო ზედგინიძის (პ/ნ 01013005506) მიერ ვერ იქნა დაძლეული კანონით განსაზღვრული მტკიცების ტვირთი, რამდენადაც ვერ დადასტურდა მოვაჭრის მხრიდან მომხმარებლისათვის უნაკლო საქონელის (ცხოველის) გადაცემის ფაქტი, შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტოს შეფასებით, დასტურდება ცაბო ზედგინიძის (პ/ნ 01013005506) მხრიდან კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის 1-4 შესრულების ფაქტი.

ასევე, მოვაჭრეს სააგენტოში არ წარმოუდგენია სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესზე, შესაბამისად, სააგენტომ უნდა შეაფასოს მოვაჭრის უმოქმედობა მომხმარებლების პრეტენზიებთან მიმართებით დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე, ასევე კომერციული საქმიანობის კანონთან შესაბამისობისას რამდენად ახდენს მსგავსი საქმიანობა გავლენას მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესზე. აგრეთვე, უნდა განიმარტოს, რომ მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრის სავაჭრო გვერდიდან - **ცაბო ზედგინიძე პუდელები** (<https://www.facebook.com/tsabo.zedginidze.p.udelebi>). ამასთან, მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრის ინტერესებზე სავარაუდო ზიანის მიყენების ფაქტი ვლინდება მოვაჭრის ისეთი ქმედებებით, როდესაც მის სავაჭრო ონლაინ პლატფორმაზე არ არსებობს კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა ნივთის დაბრუნების პირობების და წესების შესახებ და შესაბამისად, მომხმარებლები მოვაჭრისგან ვერ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ფაქტობრივ შედეგს ნივთის შეცვლა/შეკეთებასთან ან/და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

სოფიოლი ზომოაონიშნულის გათვალისწინებით, მოვაჭრე ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლების აღდგენა. ვინაიდან, კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით, ნივთის ნაკლის აღმოფხვრა სხვა სახით შეუძლებელია, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს დაუბრუნოს გადახდილი თანხა სრულად. ამასთან, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობა. მოვაჭრე, ასევე, ვალდებულია ადადგინოს იმ მომხმარებელთა კანონით გათვალისწინებული უფლება/უფლებები, რომელთაც მოვაჭრის მიერ, კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაერღვათ.

ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს მოვაჭრე ცაბო ზედგინიძის (პ/ნ 01013005506) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტს.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს ცაბო ზედგინიძის (პ/ნ 01013005506) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების დარღვევის ფაქტი.